ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2799212

ნომერი: AR1435217

თარიღი : 26.08.2016

გაცემის თარიღი : 26.08.2016

გაცნობის თარიღი : 27.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/042)/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი III , N14 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე იოსავა პ/ნ 01012004071
- ბეთლემის ქუჩა3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2016 წ. №2797772 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26/08/2016 წ. #AR1435217 განცხადებით მომართა მარინე იოსავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 25.08.2016 წ. №2797772 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 25.08.2016 წ. №2797772 ბრძანებით, ქ. თბილისში, ქუჩა შანდორ პეტეფის, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/042)/ ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მიკრო/რაიონი IV, კვარტალი III, N14 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.17.10.003.075), შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, თუმცა შეცდომით იქნა დაფიქსირებული სამშენებლო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება და მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ნაცვლად ბრძანების პირველ პუნქტში მიეთითა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან, 25.08.2016 წ. №2797772 ბრძანებაში შეცდომით მიეთითა ინფორმაცია სამშენებლო ობიექტის ფუნქციური დანიშნულების შესახებ, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ხსენებულ ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2016 წ. №2797772 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, ქუჩა შანდორ პეტეფის, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/042)/ ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მიკრო/რაიონი IV, კვარტალი III, N14 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.17.10.003.075), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.“

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2016 წ. №2797772 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.